ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N14

2023 წლის 31 ივლისი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილებები „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის N11 დადგენილებაში და დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს „ქ“ და „ღ“ პუნქტები და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) ცეცხლაურის ადმინისტრაციული ერთეული;

ღ) ჯიხანჯურის ადმინისტრაციული ერთეული“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დ. მჭედლიშვილი